ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4443680

ნომერი: AR1668094

თარიღი : 14.03.2019

გაცემის თარიღი : 03.04.2019

გაცნობის თარიღი : 03.04.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვარკეთილი 3-ის საცხოვრებელი რ-ნის , საზოგად. ცენტრის ტერ. ნაწილი , (ნაკვეთი N15/6);

დამკვეთი-განმცხადებელი
- რევაზ ტყემალაძე პ/ნ 01024004230
- ჭავჭავაძის 12

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 ნოემბრის №4276796 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 14 მარტს №AR1668094 განცხადებით მომართა რევაზ ტყემალაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 27

ნოემბრის №4276796 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 ნოემბრის №4276796 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, ვარკეთილი 3-ის საცხოვრებელი რ-ნის, საზოგად. ცენტრის ტერ. ნაწილი, (ნაკვეთი N15/6), შპს "ემ ბილდინგ სითი" ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი: N 01.19.39.015.019), განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული, სავაჭრო ცენტრის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 27 ნოემბრიდან 2020 წლის 27 დეკემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2019 წლის 11 მარტის № 4407466 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა 2018 წლის 27 ნოემბრის №4276796 ბრძანებაში და კომერციულ ფართობად დაფიქსირდა 2847.45 კვ.მ, საერთო ფართობად 3725.90 კვ.მ.
სამსახურის 2018 წლის 27 ნოემბრის №4276796 ბრძანებით შეთანხმებული +4.30 და +10.90 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდა 2019 წლის 18 თებერვლის №AR1662211 განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმებით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2018 წლის 27 ნოემბრის №4276796 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, განმცხადებელი განმარტავს, რომ არქიტექტურული პროექტის შეთანხმების დროს გამორჩენილია კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი და აღნიშნულიდან გამომდინარე ითხოვს კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 529.05 კვ.მ-ის და საერთო ფართობად 4254.95 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ– ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება ფართობების დაზუსტება.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 ნოემბრის №4276796 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი: 4254.95 კვმ, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი 529.05 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 ნოემბრის №4276796 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 ნოემბრის №4276796 და სამსახურის 2019 წლის 11 მარტის № 4407466 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.